ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3395811

ნომერი: AR1519503

თარიღი : 03.07.2017

გაცემის თარიღი : 13.07.2017

გაცნობის თარიღი : 13.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება საბარგო , ქუჩა მიქელაძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მეჰმეთ ჰასდოღან პ/ნ 01591017642
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძეს გამზირი, N 75, კორპუსი 3, ბინა 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 3 ივლისს #AR1519503 განცხადებით მომართა მეჰმედ ჰასდოღანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 15

თებერვლის #3098949 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, დასახლება საბარგო , ქუჩა მიქელაძე N6, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.08.074.017), მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 15 თებერვლიდან 2018 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 620.41 კვ.მ-ის ნაცვლად 751.07 კვ.მ-ის , საოფისე ფართობად 379.4 კვ.მ-ის ნაცვლად 378.74 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 61.85 კვ.მ-ის ნაცვლად 59.05 კვ.მ-ის, შესაბამისად საერთო ფართობად 1591.84 კვ.მ-ის ნაცვლად 1719.04 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანებაში და დაფიქსირდეს საცხოვრებელ ფართობი 751.07 კვ.მ , საოფისე ფართობი 378.74 კვ.მ, კომერციულ ფართობი 59.05 კვ.მ, შესაბამისად საერთო ფართობი 1719.04 კვ.მ. სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 თებერვლის #3098949 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.